

V თავი. „სასარგებლო რჩევები“

§1. ბიბლიოთეკა

ისტორიულ თემაზე მუშაობისას, პირველ რიგში, ვეძებთ და ვეცნობით საჭირო ლიტერატურას. წიგნების გარკვეული რაოდენობა სახლში გვაქვს, ნაწილს მეგობრისგან ან მეზობლისგან ვითხოვთ. ხშირად ვსარგებლობთ ბიბლიოთეკითაც. სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქცია არის სწორედ ის, რომ საჭირო ლიტერატურა შესთავაზოს მოსწავლეს, მაგრამ ბიბლიოთეკების წიგნების ფონდი ყოველთვის როდია მდიდარი.

ინტერვიუ თბილისის 62-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკართან, ქალბატონ მერი გათიაშვილთან:

„ამჟამად ბიბლიოთეკაში გვაქვს 7000 წიგნი. მოსწავლეები ხშირად შემოდიან ბიბლიოთეკაში, როგორც პედაგოგების დაჯალებით, ისე საკუთარი ინიციატივით. ჩვენი ბიბლიოთეკა სრულყოფილი რომ იყოს, აუცილებელია წიგნის თაროების, ჭერისა და კედლების შეკეთება, თანამედროვე ბიბლიოთეკისათვის შესაფერისი სამკითხველო დარბაზი და ერთი კომპიუტერი მაინც.“



ბიბლიოთეკარად მრავალი წელია ვმუშაობ. მიუხედავად ტელე-ვიდეო-კომპიუტერული ტექნიკის ბუმისა, მოსწავლეებს ვურჩევდი, იკითხონ წიგნები. ეს არის არაჩვეულებრივი საშუალება გონების გასაჯარჯიშებლად, ცოდნის გასაღრმავებლად და ლექსიკის გასამდიდრებლად. ჩემი ნება რომ იყოს, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის პერსონაჟის მსგავსად, ბიბლიოთეკა — „კარცერ-ლუქსში“ ჩაკეტილადი წიგნისადმი ზურგშექცეულ ახალგაზრდობას...“.

დაჯლება 1

სასკოლო ბიბლიოთეკების განახლებისა და კეთილმოწყობის მიზნით სახელმწიფომ გარკვეული თანხა გამოყო და მისი განაწილებისათვის კონკურსი გამოაცხადა. დაიყავით ჯგუფებად და შეადგინეთ სკოლის ბიბლიოთეკის განვითარების პროექტი, რომელშიც აღწერთ ბიბლიოთეკისა და მისი წიგნთსაცავის მდგომარეობას, დაასაბუთებთ ბიბლიოთეკის განახლების აუცილებლობას და წარმოადგენთ ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმას.

ბიბლიოთეკაში მუშაობას თავის წესი აქვს. ამ წესის ცოდნა საშუალებას გვაძლევს, დავზოგოთ დრო და ეფექტურად გამოვიყენოთ ის შესაძლებლობები, რომლებსაც ბიბლიოთეკა გვთავაზობს. მაგალითად, სასურველია ვიცოდეთ, რომ საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და მასალების შერჩევისას შეგვიძლია, ვისარგებლოთ ბიბლიოთეკის საცნობარო და საინფორმაციო განყოფილებების მომსახურებით.

საჭირო ლიტერატურის ძიებისას მკითხველს ყველაზე დიდ დახმარებას კატალოგი უწევს. კატალოგი ბერძნული სიტყვაა, „ნუსხას“, „სიას“ ნიშნავს და შედგება წიგნების, ჟურნალების, აუდიო-ვიდეო და კარტოგრაფიული მასალების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შემცველი ჩანაწერებისაგან, რომლებიც ბარათზეა დაბეჭდილი.

მასალის დაჯგუფების წესის მიხედვით არსებობს ანბანური და საგნობრივი კატალოგები:

წყარო 1 კატალოგი

„ანბანური კატალოგი წიგნების აღწერათა განლაგებაა ანბანის მიხედვით. ანბანური წყობის საფუძვლად მიიჩნევა ნაწარმოების ავტორის გვარი ან სათაური.“



სურ. 1. კატალოგი

ანბანურ კატალოგში ერთი და იგივე ავტორის ყველა ნაწარმოები, რა საკითხსაც არ უნდა ეჭებოდეს ის, ერთად იყრის თავს...

საგნობრივ კატალოგში ანბანის მიხედვით დალაგებულია ის საგნები და საკითხები, რომლებზეც ლაპარაკია ამა თუ იმ წიგნში...

საგნობრივი კატალოგი იძლევა პასუხს კითხვაზე — რა ლიტერატურა მოიპოვება ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ საგნისა თუ საკითხის შესახებ“.

ალ. ლორია, ნ. გურგენიძე.

დღეს მასალის წარმატებულად მოძიებისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკების ელექტრონული კატალოგების არსებობა. ამ მხრივ, ბოლო წლებში, საქართველოშიც მნიშვნელოვან პროგრესს ვხედავთ. ახლა უკვე რომელიმე წიგნის მოძებნა, ზოგჯერ მისი შინაარსის გაცნობაც კი, სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის დახმარებით შეგვიძლია.

ეს საინტერესოა:

საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1846 წელს „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის“ დაარსება. ბიბლიოთეკას შესაფერისი შენობა საჩუქრად გადასცა ცნობილმა ქართველმა პოეტმა და მოღვაწემ — ვახტანგ ორბელიანმა.

1929 წელს ბიბლიოთეკას გადაეცა ყოფილი „სათავადაზნაურო ბანკის“ შენობის ნაწილი — დღევანდელი საჯარო ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი. 1996 წელს საჯარო ბიბლიოთეკა გადავიდა საქართველოს პარლამენტის დაქვემდებარებაში და ეწოდა „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“. 2000 წლიდან ის ილია ჭავჭავაძის სახელობისაა. 2001 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკის ერთიანი კომპიუტერული ქსელი. 2008 წლიდან ეროვნული ბიბლიოთეკა „ვეროპის ბიბლიოთეკის“ სრულყოფილი ბიანი წევრი გახდა. „ვეროპის ბიბლიოთეკაში“ ვეროპის 47 ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკები შედის.

„საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“ (ვებ-გვერდი: www.nplg.gov.ge) მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკაა, მის თემატურ ფონდებში 3.703.956 ერთეული წიგნი და 231.579 ერთეული ჟურნალია დაცული.



სურ. 2. „საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა“

კითხვა

წყარო 1-ის მიხედვით, რა განსხვავებაა ანბანურ და საგნობრივ კატალოგებს შორის? რომელ მათგანს მიანიჭებდი უპირატესობას ამა თუ იმ საკითხის შესახებ ლიტერატურის მოძიებისას?

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ დღეისათვის ბიბლიოთეკის დანიშნულება გასცდა მის პირველად — საგანმანათლებლო ფუნქციას. ბიბლიოთეკა, როგორც უმდიდრესი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღების ადგილი, სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიული პროცესის განვითარებისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

წყარო 2

„ბიბლიოთეკები ფუნდამენტურ როლს ასრულებენ მოქალაქისა და მთავრობის ურთიერთობაში. ჯეიმს მედისონის სიტყვებით (რომლის წაკითხვაც შეგიძლიათ კონგრესის ბიბლიოთეკის შესასვლელთან) „ცოდნა ყოველთვის იბატონებს უვიცობაზე, ამიტომ ის, ვისაც უნდა, რომ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი იყოს, უნდა შეიარაღდეს იმ ძალით, რომელსაც ცოდნა იძლევა“. თუ მოქალაქეს არა აქვს ობიექტური და თავისუფალი ინფორმაცია, მაშინ მას არ ექნება უნარი, როგორც მოქალაქეს, სწორად შეაფასოს მთავრობის მოქმედება.

სახალხო (საჯარო) ბიბლიოთეკა ერთადერთი ადგილია, სადაც ქვეყნის ყველა მოქალაქეს და არამოქალაქეს შეუძლია ცოდნის უფასოდ მიღება. როგორც კონგრესის ბიბლიოთეკის ყოფილი



სურ. 3. კონგრესის ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელი დანიელ ბურსტნი აღნიშნავს: „ბიბლიოთეკა ყველაზე ღია უნივერსიტეტია. სადაც არ არსებობს გამოცდები, დიპლომები და სადაც ყველას შეუძლია შესვლა ნებისმიერ ასაკში...“.

ბოლო ათწლეულში... ბევრ ინფორმაციას ვიღებთ კომპიუტერის საშუალებით, რაც ჩვენ, როგორც მოქალაქეებს გვაძლევს დიდ უპირატესობას... უფრო ძლიერს გვხვდის, მაგრამ თავად ტექნოლოგია ჩვენ არ გვაქცევს უფრო უკეთეს ადამიანებად... ამავე დროს, კომპიუტერებიც არ წარმოადგენენ ინფორმაციის ხარისხიანობის და საიმედოობის გარანტიას. სწორედ ამიტომ არის ბიბლიოთეკა ასე მნიშვნელოვანი, მას შეუძლია დახმარება გაუწიოს ძვირფასი ინფორმაციის მოძიებაში და მის ეფექტურად გამოყენებაში ყოველ მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, აქვს მას სახლში კომპიუტერი, თუ — არა...“.

სტივენ ჯოუნსი, აშშ.

დავლება 2

წყარო 2-ის მიხედვით იმსჯელე სახალხო (საჯარო) ბიბლიოთეკების საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქციების შესახებ და შეაფასე მათი მნიშვნელობა.

ბიბლიოთეკების დემოკრატიული ხასიათი ყოველთვის როდია მისაღები ამა თუ იმ ხელისუფლებით-სათვის. საუკუნეების მანძილზე ბიბლიოთეკებს მთავრობების მხრიდან მკაცრი ცენზურის პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ამ უარყოფითი გამოცდილების თავიდან ასაცილებლად იქმნება სათანადო კანონები, რომლებიც ბიბლიოთეკების თავისუფლებას და მათ ხელშეუხებლობას უზრუნველყოფენ.

წყარო 3

ამერიკის ბიბლიოთეკების ასოციაცია აცხადებს, რომ ყველა ბიბლიოთეკა წარმოადგენს ინფორმაციისა და იდეების თავმოყრის ადგილს...

„1. წიგნები და სხვა საბიბლიოთეკო წყაროები უნდა ემსახურებოდნენ იმ ხალხის ინტერესებს, ინფორმირებასა და განთლებას, ვინც ამ ბიბლიოთეკის მომსახურების სფეროს ეკუთვნის. მასალები არ უნდა იქნას ამოღებული ბიბლიოთეკის კოლექციიდან ავტორის წარმომავლობის ან მისი შეხედულებების გამო.

2. ბიბლიოთეკებში თავმოყრილი უნდა იყოს მასალა და ინფორმაცია, რომელიც შეიცავს ნებისმიერ აზრსა და შეხედულებას მიმდინარე ან ისტორიული საკითხებზე. მასალები არ უნდა შეირჩეს ოფიციალურად აღიარებული აზრის მიხედვით და არ უნდა აიკრძალოს ოპოზიციური შეხედულების გამო.

3. პიროვნებას არ უნდა აეკრძალოს ან შეეზღუდოს ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება თავისი წარმოშობის, ასაკის, შეხედულებების ან სხვა რაიმე პირადი მონაცემების გამო...“.

წყარო 4

ფრაგმენტი საქართველოს კანონიდან საბიბლიოთეკო საქმის შესახებ:

„მუხლი 2. საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი ამოცანები:

ა) მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალებით); ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის;

ბ) საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის მომსახურება...

გ) ბავშვთა და მოზარდთა საბიბლიოთეკო მომსახურება სასკოლო, დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკებით...

მუხლი 3. ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები:

ა) პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი;

ბ) მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;

გ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა.“

დავლება 3

1. წყარო 3-ისა და 4-ის მიხედვით იმსჯელე ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითად პრინციპებზე და შეაფასე მათი მნიშვნელობა მკითხველისათვის;

2. მიუთითე ის პუნქტები, რომლებიც ბიბლიოთეკების დამოუკიდებლობასა და მათ დემოკრატიულობას განსაზღვრავენ, განმარტე მათი მნიშვნელობა.

§2. ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე საშუალებები

ისტორიულ თემებზე მუშაობისას საჭირო ინფორმაციის მოპოვება ინტერნეტის საშუალებითაც შეგვიძლია. ამ მხრივ განსაკუთრებით დაგეხმარებათ შემდეგი ვებ-გვერდები: www.google.ge; www.istoria.ge; www.yahoo.com; www.wikipedia.org; www.historia.com; www.maps.ge; www.internet.ge და სხვა.

კომპიუტერ შედგება: 1. ფიზიკური დეტალებისგან, რომლებიც კომპიუტერის ტექნიკურ მხარეს წარმოადგენენ და მის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფენ და 2. კომპიუტერული პროგრამებისგან, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ბეჭდვა, ტექსტის შესწორება, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება და ა.შ.



სურ. 1. სოფელ უმგელის საჯარო სკოლა

სულ რამდენიმე წლის წინ სკოლების აღჭურვა კომპიუტერებით საოცნებო იყო. ახლა მდგომარეობა რადიკალურადაა შეცვლილი. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, უკვე ძნელად წარმოსადგენია სკოლა, რომელშიც ინფორმატიკის კაბინეტი არ მოქმედებს. სხვა საკითხია, რამდენად ვიყენებთ კომპიუტერს ამა თუ იმ თემაზე მუშაობისას.

ეს საინტერესოა:

დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტების დიდ ნაწილს აქვს კომპიუტერული (უწიგნო) ბიბლიოთეკა. სტუდენტები თავისუფლად სარგებლობენ კომპიუტერებით, ეძებენ მათთვის სასურველ მასალებს, უკავშირდებიან სხვა ქვეყნებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებს, უზიარებენ თავიანთ მოსაზრებას, ხშირად მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე. ამ მხრივ ბოლო დროს არც საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტები ჩამორჩებიან მსოფლიოს სახელგანთქმულ სასწავლებლებს.



სურ. 2. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინტერვიუ 123-ე საჯარო სკოლის ინფორმატიკის მასწავლებელთან ნათია ბეჟიტაძესთან:

„ჩვენს სკოლაშიც, ალბათ, ისევე როგორც ყველა სხვა სკოლაში, მოსწავლეები ძალიან არაინ დაიტერესებული ინფორმატიკით.

მოსწავლეები, ძირითადად, ინფორმაციის ინტერნეტით მოძებნისა და მოპოვებული მასალის დამუშავების სურვილით მომმართავენ. ამის მიზეზია ის, რომ მათ სხვადასხვა საგნის პედაგოგები გაკვეთილის მომზადებისათვის დამატებითი მასალების მოძიებას ავალბენ. ასეთ დროს, სამწუხაროდ, ვაწყდებით პრობლემას, რომ მოსწავლეებმა ხშირად არ იციან, სად და როგორ ეძებონ ესა თუ ის ინფორმაცია. ვფიქრობ, ამის მიზეზი ის არის, რომ თვითონ მასწავლებლები ვერ ფლობენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს სათანადოდ.

მიმაჩნია, რომ თანამედროვე დროში მასწავლებელმა გაკვეთილისთვის საჭირო ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან მოსაპოვებლად უნდა შეძლოს ტექნიკური საშუალებების გამოყენება და მათი დახმარებით გაკვეთილების მომზადება და ჩატარება.

ინფორმატიკა ჩვენს სკოლაში V-VI კლასებში ისწავლება. ვასწავლით კომპიუტერის მოწყობილობას, ოპერაციულ სისტემას Linux-ი და საოფისე პროგრამებს, აგრეთვე ინტერნეტის მოხმარებას. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილების შემდეგ დამატებით გამოიყენონ კომპიუტერული კლასი. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერების სათანადო რაოდენობით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ ინდივიდუალურადაც და ჯგუფურადაც.

ინფორმატიკის სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეების ინფორმაციის მოპოვების, მისი დამუშავების, ანალიზის, სინთეზური და კრიტიკული აზროვნების, ზოგადი საკომუნიკაციო, შემოქმედებითი და სხვა უნარ-ჩვევების განვითარებას“.

კითხვები

1. შეგიძლია, თუ არა, ჩამოთვალო კომპიუტერის დეტალები და იმსჯელო მათ ფუნქციებზე?
2. რომელი კომპიუტერული პროგრამები გაგიცია?
3. შეგიძლია კომპიუტერზე მუშაობა? რა ადგილი უჭირავს კომპიუტერს შენს ცხოვრებაში?
4. ხშირად სარგებლობ ინტერნეტით? რა როლს თამაშობს ინტერნეტი შენს ცხოვრებაში?

ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე საშუალებები

5. რამდენად ხელმისაწვდომია შენტვის სკოლის კომპიუტერი? როგორ ფიქრობ, რამდენად ეფექტურად იყენებ ამ შესაძლებლობას? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ახსენი მიზეზები.

კომპიუტერთან მუშაობისა და ინტერნეტით სარგებლობის უნარ-ჩვევების შესასწავლად უამრავი ლიტერატურა არსებობს. მაგრამ, რა თქმა უნდა, შესაბამისი უნარების განვითარების საუკეთესო გზა პრაქტიკული მეცადინეობებია, რომლებიც, ალბათ, სკოლაში სათანადო დონეზე გიტარდება. მაგრამ, ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი, თუ ჩვენს რეკომენდაციებაც გაეცნობი.

წყარო 2

„რჩევები ინტერნეტში ძებნის სტრატეგიის შესადგენად:

1. განიხილეთ ინტერნეტი, როგორც ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთ საშუალება. იგივე ინფორმაცია შეიძლება, იპოვოთ რომელიმე ბიბლიოთეკის ბეჭდურ გამოცემებში...
2. თუ გსურთ, სწრაფად მონახოთ პასუხი ზოგადი ხასიათის საინფორმაციო შეკითხვაზე, რომლის ნათლად ჩამოყალიბება გიმნელდებათ, მიმართეთ საინფორმაციო სისტემას AskJeeves.
3. შეამოწმეთ საკანძო სიტყვების მართლწერა. ხშირად სწორედ მართლწერაში ან ბეჭდვაში დაშვებული შეცდომები გიშლით ხელს მოძებნაში.
4. კრიტიკულად შეაფასეთ ინტერნეტში უფასოდ მოპოვებული ინფორმაცია. გახსოვდეთ, რომ ინტერნეტის მართვა და, ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია...“.

ნინო ჩხენკელი.

კომპიუტერის მეშვეობით გაადვილებულია წერა, რადგან სპეციალური პროგრამებით შესაძლებელია:

- ნაწერის ადვილად შესწორება — სიტყვების, წინადადებებისა და აბზაცების გადაადგილება.
- ნაწერის დაფორმატება — გარკვეული სიტყვების, წინადადებების გამოყოფა გამუქებით ან დახრილი შრიფტით. ასევე შესაძლებელია აბზაცების გამოყოფა, გვერდების დანომვრა და ა.შ.
- ნაწერის რედაქტირება — პუნქტუაციის, ორთოგრაფიის ავტომატური შესწორება.
- ელექტრონული ლექსიკონების გამოყენება — არსებობს მრავალფეროვანი ლექსიკონები და ენციკლოპედიები განმარტებების, სინონიმებისა და ანტონიმების მოსაძებნად.
- ნამუშევრის მრავალ ეგზემპლარად ამობეჭდვა.
- ნაწერის გაფორმება — კომპიუტერით შესაძლებელია ტექსტში სხვადასხვა ილუსტრაციებისა და ფოტოების ჩართვა.

კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენების დადებითი მხარეები იმდენად აშკარაა, რომ დღეს თითქმის წარმოუდგენელია მის გარეშე კაცობრიობის არსებობა. კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტის ქსელის არსებობაზე დამოკიდებული სატელეფონო კავშირები, საგამომცემლო საქმიანობა, ავიარეისები, ტელე-გადაცემების მოშადება და სხვა. თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კომპიუტერთან მუშაობა ჩვენი ჯანმრთელობისთვის არცთუ უვნებელია. სპეციალისტების აზრით, მასთან ხანგრძლივ მუშაობას შეუძლია, მხედველობის გაუარესება და ნერვული სისტემის დაძაბვა გამოიწვიოს. ეს მით უფრო გასათვალისწინებელია მოზარდებისათვის, რომელთა ფიზიკური და ფსიქიკური განვითარება ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.

გარკვეული სირთულეები შესაძლებელია შეგვიქმნას გარკვეულმა ტექნიკურმა პრობლემებმა — აპარატურის მწყობრიდან გამოსვლამ, მუშაობაში რაიმე სახის შეფერხებამ.

ეს საინტერესოა:

ინტერნეტის დაბადების თარიღად 1983 წელი ითვლება. აშშ-ში დაინერგა ინტერნეტის ქსელური პროტოკოლი. თუმცა ამ თარიღს წინ უსწრებდა 20-წლიანი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოები.

მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისელმა მათემატიკოსმა ალან ტიურინგმა შექმნა კომპიუტერი — Robinson-ი, ამ გამოგონებამ დიდი დახმარება გაუწია ინგლისელ სამხედროებს. სწორედ Robinson-ის მეშვეობით ახერხებდნენ ისინი გერმანელთა საიდუმლო შეტყობინებების გაშიფრვას.

პირველი თაობის კომპიუტერები დიდი ზომისა იყო, ჰქონდათ საკმაოდ



სურ. 3. ერთ-ერთი პირველი კომპიუტერი. პარავარდი, აშშ

შეზღუდული მეხსიერება და მწყობრიდანაც ხშირად გამოდიოდნენ. ისინი მარტო მათემატიკურ გამოთვლას 3-5 წამს ანდომებდნენ და უფრო ნელა მუშაობდნენ, ვიდრე ნებისმიერი კალკულატორი.

ბოლო პერიოდის კომპიუტერები ზომით პატარაა, სწრაფი, იტევს დიდი მოცულობის ინფორმაციას და ასრულებს უამრავ ისეთ ურთულეს ოპერაციას, რომელთა დიდი ნაწილი რიგითი მომხმარებლისათვის არც არის განკუთვნილი.



დაჯალბა

იმსჯელე კომპიუტერის მნიშვნელობაზე, მათთან მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებზე. გაიხსენე და თანაკლასელებს უამბე კომპიუტერთან დაკავშირებული რაიმე საინტერესო შემთხვევა.

დამოუკიდებელი სამუშაო

აირჩიე და დაწერე ერთ-ერთი ესე:

1. „ჩემი პირველი კომპიუტერი“;
2. „მე რომ კომპიუტერი მქონდეს“.

§3. ისტორიული ნაშრომის დაწერა

სანამ წერას შეუდგები, ნაშრომს სათაური უნდა შეურჩიო, რაც არც ისე იოლი საქმეა, რადგან სათაური ნაშრომის ძირითად იდეას გადმოსცემს, განაპირობებს თხზულებით მკითხველის დაინტერესებას.

თუმცა და სათაურის შერჩევის შემდეგ, ვიწყებთ ნაშრომის გეგმაზე მუშაობას.



სურ. 1. პეინინგევი

წყარო 1

„გამოცდილი მწერლებიც კი წერისათვის მზადებას გარკვეულ დროს უთმობენ. წერისათვის გეგმის შემუშავება იმდენადვე აუცილებელი, რამდენადაც საჭიროა მოგზაურობისას მარშრუტის დადგენა. ეს გეგმა წერის დროს წინ უნდა გედოთ და ამგვარად გეცოდინებათ, რის შემდეგ რას დაწერთ. ფურცელზე მოსაზრებების, ფაქტებისა და ინფორმაციის ჩამოწერა თვალსაჩინოდ წარმოგადგენინებთ მთლიან თემას. ამის შემდეგ ზოგს დახვეწთ, ზოგს უგულებელყოფთ, ზოგისთვის კი დამატებით არგუმენტებს მოიძიებთ...“.

ნ. ლამბაშიძე.

მეცნიერები გვირჩევენ, რომ კარგი ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

1. თემა — არის მთავარი სათქმელი, რის გარშემოც იშლება მსჯელობა.

თემაში საკითხები შეიძლება გაიშალოს ქრონოლოგიურად ან ხარისხობრივად.

• ქრონოლოგიური პრინციპი — გულისხმობს მოვლენების აღწერას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. თხრობას ან წერას ვიწყებთ ყველაზე ადრეული პერიოდით და თანდათან მივდივართ ბოლომდე.

• ხარისხობრივი პრინციპი — გულისხმობს საკითხების გადმოცემას მათი მნიშვნელობის მიხედვით, წერას ვიწყებთ ყველაზე მთავარი საკითხით და ვაგრძელებთ ნაკლებ-მნიშვნელოვანით.

2. მიზანი — ის საბოლოო შედეგია, რომლის მიღწევასაც გეგმავთ თხზულებაში. ეს შეიძლება იყოს როგორც საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, ასევე რაიმე სიახლის აღმოჩენა.

ნაშრომის მიზანიც წერის დაწყებამდე უნდა იყოს განსაზღვრული.

3. აუდიტორია — ის ადამიანი, ან ადამიანების ჯგუფია, ვინც წაიკითხავს ან მოისმენს და შეაფასებს შენს ნამუშევარს.

4. თხრობის სტილი — თხზულების ძირითადი იდეა შეიძლება გადმოცემულ იქნას: გაბმული ტექსტით, დიალოგით, აღწერით, ანალიზით, შედარებით ან კომბინირებულად (ყველა ჩამოთვლილი საშუალების ერთობლივად გამოყენება).

ნებისმიერი თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, ძირითადი ტექსტი და დასკვნა.

შესავლის მიზანია, ისე მივაწოდოთ მკითხველს თხზულების მთავარი იდეა, რომ მივიპყროთ მისი ყურადღება. მკითხველის დასაინტერესებლად, საჭიროა შესავალში:

- წარმოადგინო ძირითადი მოსაზრება
- დასვა არსებითი შეკითხვა
- მოიტანო შთამბეჭდავი ციტატა
- მოიტანო დამატებითი ინფორმაცია

ძირითად ნაწილში ხდება თემის გაშლა, მსჯელობის განვითარება, არგუმენტირება, წარმოდგენილი მასალის ანალიზი.

დასკვნით ნაწილში ხდება თხზულებაში განხილული მსჯელობის შეჯამება, შედეგის წარმოდგენა.

ეს საინტერესოა:

თხზულება შინაარსისა და მიზნის მიხედვით შესაძლებელია იყოს:

- ინფორმაციული — გადმოგვცემს ფაქტებს ან აღწერს მათ. ინფორმაციულ თხზულებაში ნებისმიერი მოსაზრება ემყარება კონკრეტულ ფაქტებს.
- დამასაბუთებელი — რომელიც ემსახურება მკითხველის დარწმუნებას, დაჯერებას. ამისთვის საჭიროა ისეთი არგუმენტების მოტანა, რომლებიც თანაგრძნობის, სიმპათიის, სამართლიანობის განცდას გამოიწვევს.
- თხზულება შეიძლება დაიწეროს ესეს — თავისუფალი ნარკვევის სახითაც. „ესე“ კომპოზიციურად თავისუფალი, მცირე ზომის თხზულებაა, რომელშიც აზრი, შეფასება და დამოკიდებულება სუბიექტურია. „...სწორად გაიგეთ განმარტება „თავისუფალი ნარკვევი“! მიუხედავად იმისა, რომ წინა პლანზე თქვენი სუბიექტური თვალსაზრისი გამოდის, ძირითადი აზრი მეტად დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოთ. ამასთანავე, თითოეული არგუმენტი მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს და ხაზგასმით გამოიკვეთოს, დამაჯერებელ დასკვნას მყარი არგუმენტების ერთობლიობა განაპირობებს“ (მ. მეფარიშვილი).

კითხვები

1. რატომ არის მნიშვნელოვანი თხზულების სათაურის სწორად შერჩევა და წერის დაწყებამდე გვერდის შედგენა?
2. როგორ ფიქრობ, დაგეხმარება, თუ არა, წერისას მოცემული რეკომენდაციები?
3. როგორი თხზულებების წერა გიზიდავს ყველაზე მეტად? რამდენად ხშირად წერ ისტორიულ ესეს? ფაქტების გადმოცემისას რომელ პრინციპს ანიჭებ უპირატესობას — ქრონოლოგიურს თუ ხარისხობრივს?

დაკლება 1

გაეცანი ნაწევრს XIX საუკუნის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის სტატიიდან: „სად გაბედავენ ჩვენს საუკუნეში, გარდა რუსეთისა, გამოამუღჯუნონ მსგავსი პრინციპები? თქვენ გადაასახლეთ ჩერქეზები სამშობლო მთებიდან და ქლა თხოულობთ სხვა ეროვნებათა აღმოფხვრას... როგორ ჩანს, ყველა ამაში მონდოლოური მიდრეკილება, რომელიც ფიქრობს ააგოს თავისი დიდება სხვათა განადგურებასა და ნანგრევებზე...“.



სურ. 2. ნიკო ნიკოლაძე

შენი აზრით, ამონარიდი სტატიიდან ინფორმაციული ხასიათისაა თუ დამასაბუთებელი? წარმოადგინე შენი არგუმენტები.

წერას, როგორც წესი, შავი ვარიანტით ვიწყებთ. მოსწავლეთა ნაწილი შავ ვარიანტში ყურადღებას არ აქცევს ნაწერის სტილსა და გრამატიკას. შეცდომების გასწორება, შინაარსის და სტრუქტურის დახვეწა შემდეგი ეტაპისთვის აქვს გადადებული.

სხვები შავ ვარიანტზე ნელა და საგულდაგულოდ მუშაობენ. წერის პროცესში არაერთხელ გადაიკითხავენ ცალკეულ წინადადებას, ამუშავენ, ჩაასწორებენ და მხოლოდ შემდეგ აგრძელებენ მუშაობას. ასეთი, საგულდაგულოდ დამუშავებული, ვარიანტის გადაკეთება და გაშალაშინება შემდგომში გაცილებით ადვილია.

კითხვები

1. შავი ვარიანტის შექმნის რომელი გზაა შენთვის უფრო მისაღები? რატომ?
2. დაახლოებით რამდენ დროს უთმობ მასალის მოძიებას? რა საშუალებებს იყენებ ამისათვის?

გაეცანი რამდენიმე რეკომენდაციას, რომელთა გათვალისწინება ნაშრომის კარგად დაწერაში დაგეხმარება :

- 1. სასურველია, წინ გვეღოს გეგმა, რომელსაც მივყვებით;
- 2. ვწერთ ისე, რომ შემდეგში შესწორება, ჩამატება ან შენიშვნის მიწერა შევძლოთ. ამისათვის მოსახერხებელია წერა ან რევიულის ცალ გვერდზე, ან ერთი ხაზის ინტერვალით;
- 3. დებულების განვითარებისათვის თქვენ თავს დაუსვით რამდენიმე დამხმარე კითხვა: მაგ., რატომ ფიქრობთ ასე? როგორ დაასაბუთებთ ამა თუ იმ დებულებას?
- 4. დაფიქრდით, იქნება, თუ არა, მკითხველისათვის თქვენი მსჯელობა ისეთივე ნათელი, როგორც თქვენთვის?
- 5. უკავშირდება, თუ არა, ლოგიკურად თქვენი მსჯელობის ცალკეული მონაკვეთები ერთმანეთს და ვითარდება, თუ არა, თქვენი აზრი ლოგიკურად.
- 6. შავი ვარიანტის შექმნის დროს წერეთ სწრაფად და ეცადეთ, რომ მიჰყვეთ აზრის დინებას. არ შეგეშინდეთ, თუკი სწრაფი წერისას შეცდომა, ხარვეზი გაგეპარათ, რადგან გადათეთრებისას ყველაფრის გამოსწორების საშუალება გექნებათ;
- 7. არ მოერიდოთ თქვენი პირადი აზრისა და დამოკიდებულების თამამად გადმოცემას, თუმცა, ზედმეტი და არასაკმარის მსჯელობით არ გადატვირთოთ თქვენი ნაწერი;
- 8. აკადემიური წერის უმთავრესი პრინციპია, წეროთ მარტივი, ნათელი და ტკეპი ფრაზებით...“.

ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ნინო შარაშენიძე.

კითხვები

- 1. არის თუ არა ზემოთ მოცემული რომელიმე რეკომენდაცია შენთვის ახალი?
- 2. როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება შენთვის ამ რეკომენდაციების გათვალისწინება?

დაჯალბა 2

წერის პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. დაიწყეთ ჯგუფებად, გაეცანით ქვემოთ ჩამოთვლილ ეტაპებს და დააღაგეთ ისინი თანმიმდევრულად.

- რევიზიის ეტაპზე ყურადღებით და კრიტიკულად შევისწავლით ჩვენს ნაწერს;
- შინაარსობრივი დახვეწა.
- ვქმნით შავ მონახაზს;
- კორექტურის ეტაპზე ვინიშნავთ სტილისტურ და გრამატიკულ შეცდომებს, ვასწორებთ მათ და ვწერთ თხზულების საბოლოო ვერსიას.
- ვარჩევთ თხზულების თემას, ვადგენთ გეგმას და განვსაზღვრავთ ნაშრომის მიზანსა და ფორმას.

თხზულების პრეზენტაციისას დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი და მიუთითეთ თითოეული ეტაპის მნიშვნელობაზე ნაშრომის შესრულებისას. შემდეგ შეადარეთ თქვენი ვარიანტი სხვა ჯგუფებისას, ჩაინიშნეთ განსხვავებები და შექმენით შეჯერებული ვარიანტი.

§4. როგორ გააფორმოთ ნაშრომი

თუმაზე მუშაობის დროს გვიწევს მრავალრიცხოვანი მასალის გაცნობა და დამუშავება, რაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია და დიდ დროს მოითხოვს. წიგნებისა და პუბლიცისტური წერილების წაკითხვის მიზანია ახალი ცოდნის მიღება და ამ გზით საინტერესო ნაშრომის დაწერა. მუშაობაში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია დროის რაციონალურად განაწილება.

წყარო 1

„როგორ გამოვიყენოთ წყაროებზე მუშაობის დრო რაციონალურად? როგორ გამოვარჩიოთ უამრავ წყაროთაგან მთავარი და მეორეხარისხოვანი, რათა მთელი ჩვენი ძალისხმევა ამ მთავარი წყაროებისაკენ მივმართოთ? ყველა წყაროს საგულდაგულო გაცნობა-წაკითხვა არა მარტო ძვირფას დროს წაგვართმევს, არამედ დაგვაბნევს, გადაგვქანცავს; ზღვა მასალაში ჩავიკარვებით, რადგან ისეთი წყაროების დამუშავებაც მოგვიხდება, რაც საჭირო არ აღმოჩნდება. გამოსავალი ამ შემთხვევაში სწრაფი (რაციონალური) კითხვის უნარ-ჩვევების დაუფლებაშია.

სწრაფი (რაციონალური) კითხვა წყაროში მთავარის, ძირითადის, არსებითის სწრაფად მიგნება და წაკითხვაა.

ამ მიზნით კი უპირველესად წყაროს სტრუქტურას უნდა გაეცნოთ, შემდეგ საკვანძო ადგილებს, საკითხებს, პრობლემებს, არგუმენტებს. ამასთან წაკითხვის დროსვე შენიშვნა-ჩანაწერები გააკეთოთ და წყარო დროებით გვერდზე გადადოთ...“.

თ. ჯაგოდრიშვილი.

კითხვები

1. რა არის სწრაფი (რაციონალური) კითხვა?
2. ფლობ თუ არა სწრაფი კითხვის ჩვევებს? დადებითი პასუხის შემთხვევაში გააცანი თანაკლასელებს სწრაფი კითხვის დადებითი მხარეები.

დაჯალბა 1

ზოგს მიაჩნია, რომ მოსწავლეებში სწრაფი კითხვის ჩვევების გამომუშავებას უარყოფითი შედეგები მოსდევს, რადგან ეს აზარმაცებს მოზარდს, აჩვევს ტექსტების, მათ შორის, მხატვრული ლიტერატურის, უგულისყუროდ წაკითხვას და, რაც მთავარია, მოსწავლე ჯერ არ არის მზად, მისთვის უცნობი ტექსტი დაამუშაოს იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც წყარო 1-შია მოცემული. გამოხატე შენი პოზიცია „სწრაფი კითხვის“ მიმართ, იმსჯელე მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე.

როდესაც ამა თუ იმ ლიტერატურას გაეცნობი, არ დაგავიწყდეს მისი ავტორის, სათაურის, გამოცემის ადგილისა და წლის ჩანიშვნა. ეს ინფორმაცია მოგვიანებით გამოგადგება, რადგან ნაშრომის წერას რომ დაასრულებ, აუცილებელია ბიბლიოგრაფიის შედგენა. ბიბლიოგრაფიის ანუ გამოყენებული ლიტერატურის სიის შედგენას თავისი წესი აქვს. ამ შემთხვევაში, ამოსავალია სახელმძღვანელოების ავტორების ვინაობა — მკვლევართა გვარები დალაგებულია ანბანის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული ლიტერატურა მრავალენოვანია, ჯერ უუთითებთ ქართულენოვან გამოკვლევებს, შემდეგ, უცხოენოვანს. განსოვდეს! მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი უნდა იყოს სრული.

მაგალითი 1. გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგოიძე ვ. ფილოსოფიური იდეები XIX საუკუნის საქართველოში. თბ., 1962
2. თავაძე ა. ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებები. თბ., 1954
3. ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია. თბ., 1956
4. Ginsberg M. Evolution and progress. London, 1961

ხოლო პერიოდული გამოცემების (ჟურნალ-გაზეთები) გამოყენების შემთხვევაში, ავტორთან და სტატიის სათაურთან ერთად აუცილებელია, მიუუთითოთ ჟურნალის დასახელება, გამოცემის წელი და ნომერი.

მაგალითი 2. გ. ჩუბინაშვილი, VIII-IX საუკუნეების ქართულ ხურუმთმოდერო ლ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, 8, №7, 1952

ნაშრომში ცალკეული საკითხების განხილვისას მივმართავთ ციტირებას. ციტირების აზრი არის ის, რომ კონკრეტულ მასალაზე მსჯელობისას გადამყაროთ საკუთარი მოსაზრებები სხვა ავტორთა აზრის მოშველიებით ან პირიქით, — გაგაბათილოთ მანადმე არსებული რომელიმე თვალსაზრისი დამატებითი მტკიცებულებით.

ზოგიერთ შენს თანატოლს ჰგონია, რომ, რაც უფრო ხშირად დაიმოწმებს სხვადასხვა ავტორების ციტატებს, მით უფრო ნაკითხი და საკითხის არსში ღრმად ჩახედული გამოჩნდება მკითხველის თვალში. ასეთი მიდგომა არასწორია. ციტირება მიზანშეწონილია მაშინ, როცა:

- სხვისი სიტყვები გამოიყენება პირველწყაროდ ან საკუთარი აზრის გასამყარებლად;
- ვეკამათებით წყაროს ავტორს და ამიტომ აუცილებელია მკითხველისათვის მისი პოზიციის სიტყვასიტყვით გადმოცემა.

ციტირებული ტექსტი აუცილებლად უნდა ჩავსვათ ბრჭყალებში და უნდა მიუუთითოთ მისი ავტორი. მითითების რამდენიმე წესი არსებობს.

ციტატის შემდეგ ვხსნით ფრჩხილს და მასში ვუთითებთ წერტილ-მძიმით გამოყოფილ ციფრს, მაგ., (4; 16). რას ნიშნავს ეს ციფრები? პირველი აღნიშნავს გამოყენებული ლიტერატურის რიგითობას ბიბლიოგრაფიულ სიაში, ხოლო მეორე ციფრი — იმ გვერდს, რომელზეც ჩვენს მიერ მოშველიებული თვალ-

სამკრთოთ ნაშრომის
გაგონილი

საზრისია მოცემული.

არსებობს გამოყენებული ლიტერატურის მითითების სხვა წესიც. როდესაც ვიმოწმებთ ვისიმე აზრს ან გამონათქვამს, ციტატის ბოლოს ვუსვამთ შესაბამის ნომერს, მაგ., 3-ს. ხოლო გვერდის ქვედა ნაწილში ვუთითებთ ამ გვერდზე გამოყენებულ ლიტერატურას. ამ შემთხვევაში ციფრი 3 აღნიშნავს გვერდის ბოლო ნაწილში (სქოლიო) ჩამოთვლილი ლიტერატურიდან მესამეს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლიტერატურას ვუთითებთ არა მხოლოდ ციტირებისას, არამედ მაშინაც, როდესაც ვისიმე აზრი მოგვეყვას ჩვენი სიტყვებით.

მაგალითად, – სურათი.....მს ნარკვევების სკანერიდან

როდესაც შენს ნაშრომში არ მიუთითებ ციტატის ავტორს, უნდა იცოდე, რომ ეს ქურდობაა და ამას პლაგიატობა ჰქვია. „პლაგიატი“ მიტაცების გამომხატველია და სხვისი ნაწარმოების ავტორობის მისაკუთრებას, სხვისი გამონათქვამების ან აზრის მითვისებას ნიშნავს.

დაულება 2

1. იმსჯელე გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესებზე და მიუთითე ჩამოთვლილთაგან: ა) რომელი გამოგიყენებია; ბ) რომელი იყო შენთვის აქამდე უცნობი.

3. იმსჯელე, როგორ ავიცილოთ თავიდან პლაგიატობა.

ნაშრომის ძირითად ნაწილში დამატებითი ინფორმაციის მისათითებლად უნდა გამოიყოს სქოლიო. სქოლიო ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ახსნას, განმარტებას. სქოლიო საშუალებას გვაძლევს, მკითხველს ყურადღება არ გადავიტანოთ ძირითადი განსახილველი თემიდან შედარებით მეორეხარისხოვანზე.

წყარო 2

სურ. სქოლიო მს ნარკვევების სკანერიდან

როგორც წესი, ნაშრომს წინ უძღვის ანოტაცია, ხოლო ბოლოში დართული აქვს რეზიუმე.

ანოტაცია არის წიგნის ან ნაშრომის შინაარსის და, დანიშნულების მოკლე დახასიათება. ანოტაციას შეიძლება ჰქონდეს აღწერილობითი ან სარეკომენდაციო ხასიათი. უფრო ხშირად კი ორივე ერთად.

რეზიუმე ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს დასკვნას. რეზიუმე გადმოგვცემს გამოკვლევის მოკლე შინაარსს, დელააზრს, შემაჯამებელ დასკვნას.

დაულება 3

გაეცანი წყარო 3-სა და 4-ს და მიუთითე, მათგან რომელია ნაშრომის ანოტაცია და რომელია რეზიუმე. დაასაბუთე შენი მოსაზრება.

წყარო 3

„წიგნში განხილულია თერგდალეულთა მსოფლმხედველობა, ნაჩვენებია მისი პროგრესულობა, ორიგინალური ხასიათი ნებისმიერ იდეოლოგიასთან დაკავშირებით..“

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართველ სწავლულთა მიდგომას ისტორიისადმი, იმ დიდი როლის ჩვენებას, რასაც ისინი ისტორიული ცოდნის გავრცელებას აკუთვნებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის. ასახულია მათი განუხრელი ზრუნვა ამ მეცნიერების დაწინაურებისათვის...“.

წყარო 4

„XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოაზროვნეთა პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში არის მეთოდოლოგიურად სწორი გამონათქვამები ერის ნიშან-თვისებებზე: ენის, ტერიტორიისა და კულტურის ერთობა, საერთო

რელიგია, ზნე-ჩვეულებების, ტრადიციებისა და ხასიათის თავისებურებები, საერთო ისტორიული წარსული, სახელმწიფოებრივი ერთობა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ეს მოღვაწეები ჩამოთვლილი ნიშნების ერთობლიობას ქართველ ხალხში ჩვენი ისტორიის ადრეულ პერიოდებშიც შედავდნენ და ერს არ თვლიდნენ უშუალოდ ბურჟუაზიული ურთიერთობების მეოხებით წარმოქმნილ ერთობად...“.

§5. პრეზენტაცია

მიგიღია, თუ არა, მონაწილეობა მოსწავლეთა კონფერენციაში ან მის ორგანიზებაში? რამდენად ხშირად აწყობ საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაციას? ვინ არის შენი აუდიტორია? თვლი, თუ არა, თავს კარგ მომხსენებლად? შენი აზრით, რა განაპირობებს პრეზენტაციის წარმატებას? მოსწავლ კონფერენციის სურათი

მომხსენებლის წარმატება არ არის დამოკიდებული მხოლოდ საპრეზენტაციოდ წარმოდგენილ ნაშრომზე, მაშინაც კი, როდესაც ის შეიცავს მრავალ მნიშვნელოვან ფაქტს და სწორ და საინტერესო მსჯელობას. სპეციალისტების განმარტებით არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც:

1. პირველ რიგში, საჭიროა, პრეზენტაციისთვის საგანგებოდ მომზადება, რაც გულისხმობს: დადებითი განწყობის შექმნას; ეფექტური შესავალი სიტყვის მომზადებას; აუდიტორიისათვის თემასთან დაკავშირებული რაიმე ამბის მოყოლას; მოხსენების ძირითადი საკითხების განმტკიცებას თვალსაჩინო მასალით; საკუთარი მსჯელობის ემოციურად გადმოცემას; შთაბეჭდავი დასკვნის მომზადებას.

2. პრეზენტაციის მსვლელობისას ეცადე: მსმენელზე მოახდინო დადებითი შთაბეჭდილება; თვალი გაუსწორო აუდიტორიას; იმოძრაო თავისუფლად; დაიმსახურო მსმენელთა ნდობა და ბოლომდე შეუნარჩუნო მათ თემისადმი ინტერესი; იყო გულწრფელი; გამოიყენო ხატოვანი ლექსიკა; მოკლედ და მკაფიოდ გამოხატო აზრი;

3. გამოცდილი მომხსენებლების აზრით, პრეზენტაციის წარმატების ერთ-ერთი საწიდარია „საინტერესო სიტყვის წარმოთქმა და მსმენელის გართობა“.

„...შეუძლებელია შეხედულებათა წარმატებით გადმოცემა და მსმენელთა დარწმუნება, თუ თან გამოსვლა არ არის საინტერესო და არ შეიცავს გართობის ელემენტებს. სიტყვა „გართობა“ ამ შემთხვევაში არ ნიშნავს მსმენელთა გაცინებას ან მათ პრობლემებისგან მოწყვეტას. „გართობა“ ნიშნავს მსმენელის დაინტერესებას და მისი ყურადღების კონცენტრირებას მოხსენებაზე...“ (მედია მეტრეველი).

4. გახსოვდეს, რომ საინტერესო მოხსენებას, ყოველთვის მოსდევს შეკითხვები აუდიტორიის მხრიდან. ასეთ შემთხვევაში: გაეცი პირდაპირი და მოკლე პასუხები; ნუ გასცილდები საუბრის თემას; უმეტესობას უჭირს სხვისგან კრიტიკული აზრის მოსმენა. ფრთხილად იყავი, რომ ამგვარი კრიტიკის შემთხვევაში არ გაღიზიანდეს, შეეცადე ლოგიკური პასუხით დაიცვა საკუთარი აზრი. მსმენელთა შეფასების მოსმენა აუცილებლად შეგძენს მეტად მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მომავალში გამოგადგება.

პრეზენტაციის დროს გამოცდილების მქონე მომხსენებლებიც კი ხშირად ნერვიულობენ, რაც, ბუნებრივია. უნდა გვახსოვდეს, ზედმეტი ნერვიულობა გვაბნევს, გვიჭირს თავი მოუყაროთ სათქმელს და დავაინტერესოთ აუდიტორია.

კითხვა

შენი აზრით, რა შეიძლება დაუუპირისპიროთ აუდიტორიის წინაშე ზედმეტ მდელვარებას? რა გზით უნდა მოეყოლოთ ჩვენი ემოციები?

ბევრი მოხსენებას მსმენელის წინაშე კითხულობს, თავიდან ბოლომდე. ამის ერთ-ერთი მიზეზი აუდიტორიის შიშია. ნაწერის წაკითხვა ერთგვარი თავდაცვის საშუალებაა. ეს საფასებით გასაგები რეაქციაა და ზოგიერთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალიც კი. საჯარო გამოსვლის შიში ისეთი რამ არის, რომ მისი დაძლევა თითოეულმა პიროვნებამ მისთვის მოსახერხებელი გზით უნდა შეძლოს.

წყარო

„წარმატებული საჯარო მოხსენების ყველაზე მთავარი განმსაზღვრელია მრავალგზისი პრაქტიკა. როდესაც

სახლში რეპეტიციას გადიხართ, ისაუბრეთ ხმამაღლა! თქვენი ხმა განსხვავებულად ისმის მაშინ, როცა ხმამაღლა ლაპარაკობთ. ამ გზით ნერვიულობის დაფარვაც შეიძლება.

რეპეტიციისას გამოიყენეთ მეგობრების წრე, ან ოჯახის წევრები. უკიდურეს შემთხვევაში დადებით სარკის წინ და უყურეთ საკუთარ თავს... სხვათა შორის, თქვენი მეგობრები ან ოჯახის წევრები შესაძლოა, უფრო კრიტიკულები და მომთხონებები იყვნენ, ვიდრე ფართო საზოგადოება...“.

ნ. ლამბაშიძე.

და მაინც, თუ გამოსვლის დროს იგრძნობ, რომ ზედმეტად ნერვიულობ:

1. ყურადღება გადაიტანე მსმენელზე და ნაკლებად იფიქრე შენს მდგომარეობაზე;
2. ძალიან მნიშვნელოვანია, ე.წ. „თვალთ კონტაქტი“. როდესაც ადამიანებს უყურებ, ისინი გაცილებით ნაკლებად „გაშინებენ“;
3. ილაპარაკე ხმამაღლა და გარკვევით — ისე, რომ შენი ყველას ესმოდეს.

ხოლო, როდესაც მღელვარება გაგივლის:

1. ყურადღება მიაქციე საუბრის მანერას, შესტების გამოყენებას. ნორმის ფარგლებში ეს საჭიროცაა, თუმცა არ გადააჭარბოთ. ზედმეტი შესტიკულაცია შესაძლოა, უხერხულიც კი აღმოჩნდეს;
2. გახსოვდეს, რომ მოხსენებისას ხმის ტემბრი მეტად მნიშვნელოვანია. ხმის აწევ-დაწევით, პაუზით, ღიმილითა და ა.შ. მიახვედრე მსმენელი, რომ გადადიხარ ახალ საკითხზე და გამოხატე ამ საკითხის მიმართ შენი დამდამოკიდებულება.
3. საჭირო მომენტში გამოიყენე პაუზა. დამწყები მომხსენებლები ზოგჯერ ფიქრობენ, რომ მათ საუბრისთვის უნდა გამოიყენონ მოხსენებისათვის განკუთვნილი ყოველი წუთი. ეს არ არის სწორი. აუდიტორიას უნდა ჰქონდეს საშუალება, დროდადრო გაიაზროს შენი ნათქვამი. ამ დროს გააკეთე პაუზა. ზომიერი ხუმრობა და მეგობრული ინტონაცია ძალიან ეფექტურია, ოღონდ ფრთხილად იყავი, არ გადააჭარბო;
4. ვრცელი მოხსენებისას დროდადრო შეაჯამე ის, რაც უკვე თქვი და ისე გადადი შემდეგ საკითხზე.

დაგალება

მაგალითი: მომგებიანია — ლაპარაკი, ნაკლებმომგებიანია — წაკითხვა.

მომგებიანია — ფეხზე დგომა, ნაკლებმომგებიანია — ჯდომა.

1. მაგალითის მიხედვით, აზრობრივად შეუდარე ერთმანეთს პრეზენტატორისათვის მიცემული რჩევები და დააჯგუფე მომგებიანობისა და არამომგებიანობის ნიშნით.

- ვიზუალური საშუალებების გამოყენება: გეგმა, სურათები, ცხრილები;
- ერთ ადგილზე დგომა;
- ხმის ტონალობის ცვლა;
- მხოლოდ საუბარი;
- მხედველობითი კონტაქტის დამყარება აუდიტორიასთან;
- მოუშხადებელი გამოსვლა;
- ხმამაღლა და მკაფიო ლაპარაკი;
- წერილმანებში ჩაღრმავება;
- მონოტონური მეტყველება;
- მხერის ერთ წერტილზე შეჩერება;
- ყურადღების გამახვილება ძირითად არგუმენტებზე;
- გამოსვლის დასაწყისში და ბოლოს მოხსენების ძირითადი საკითხების მოკლე შეჯამება;
- მსმენელთა მიმართ ყურადღების გამოჩენა;
- აუდიტორიის სრული იგნორირება;
- მოდრობა;
- თავდახრილი ლუღლუღი;
- მოხსენების დასკვნის გარეშე დასრულება;
- წინასწარ გამეორება/რეპეტიცია

2. შეადარე შენი ცხრილი თანაკლასელებისას და გამართეთ დისკუსია.